საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 20 0000596744

13/07/2020

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" 2020 წლის 21 თებერვლის №0 1 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის 25 მარტის MES 9 20 00317403 წერილის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ,,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" 2020 წლის 21 თებერვლის№01 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1. 1 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 13 დეკემბერს.“

1.2 გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-17 პუნქტში ნაცვლად 2020 წლის 19 იანვრისა მიეთითოს 2019 წლის 13 დეკემბერი.

1.3 გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-19 პუნქტში ნაცვლად 2022 წლის 19 იანვრისა მიეთითოს 2021 წლის 13 დეკემბერი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 ივლისის MES 8 20 0000592096 სხდომის ოქმის N01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 01

20~~01~~20 წ. "21" 02

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^2 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის

მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 18 ივნისს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №775814 სააკრედიტაციო განაცხადი “მშენებლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 ივლისის №609 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 03 სექტემბერის №788 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 12 სექტემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 20 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 21 თებერვალს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის შედეგად მიიჩნია, რომ 2.3. კომპონენტი და 2.2 კომპონენტი უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", შესაბამისად, საბჭოს მიერ მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

2.6. საბჭომ მიიჩნია, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დამატებით უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) გაძლიერდეს და ლოგიკურად დაეწყოს ძირითადი სპეციალობის კომპონენტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ბ) გადამუშავდეს „სამშენებლო მარკეტინგი" კურსის სილაბუსები. სამშენებლო მარკეტინგის არცერთი სავალდებულო ლიტერატურა არ ფარავს კურსით განსაზღვრულ თემატიკას;

გ) შემცირდეს სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა რიგ სილაბუსებში, ან/და მიეთითოს კონკრეტული თემატიკის შესაბამისი ლიტერატურა;

დ) გადაიხედოს, განახლდეს სასწავლო კურსების ლიტერატურა და დაერთოს რელევანტური თანამედროვე ლიტერატურა;

ე) უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) დაემატოს სასწავლო პროგრამას კურსები მარკეტინგის მიმართულებით;

ზ) დაემატოს სილაბუსებში ისეთი საკითხები, როგორიცაა: WACC (კაპიტალის შეწონილი ღირებულება), პროექტის NPV (სუფთა დღევანდელი ღირებულება), IRR (უკუგების შიდა ნორმა) და მსგავსი;

თ) საინჟინრო კომუნიკაციების სწავლების დროს ყურადღება გამახვილდეს ყველა მიმართულებაზე, მაგ. ელექტროობა, სუსტი დენები და ა.შ.;

თავმჯდომარე

მდივანი

ი) სწავლებაში ყურადღება გამახვილდეს საკანონმდებლო რეგულაციებზე, მარეგულირებელთან, თელასთან და ა.შ. ურთიერთობაზე;

კ) ყურადღება გამახვილდეს ისეთ საგნებზე/საკითხებზე, როგორიცაა: ოპერაციათა მართვა, ქსელური გრაფიკების მომზადება და გამოყენება, მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა, ხარისხის მართვა, მარაგების მართვა, ბიუჯეტირება, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით Excel, ms project და ა.შ. ზოგიერთი საკითხი (მაგ. ხარისხის მართვა, ქსელური გრაფიკები და ა.შ.) კი განიხილება საგანში მშენებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა, მაგრამ არა სათანადო მოცულობით;

ლ) გადაიხედოს თავისუფალი კომპონენტების არჩევითი საგნები და მოხდეს მათი ოპტიმიზაცია;

მ) მოდიფიცირდეს მენეჯმენტის მიმართულებით საგნები, შინაარსის მიმართულებით მახასიათებლები შესაცვლელია.

2.7. საბჭოს მიერ დამატებით გაიცა შემდეგი რჩევები:

ა) განხორციელდეს საათების დატვირთვის რევიზია საგნის (სილაბუსის) შინაარსიდან გამომდინარე კრედიტის მოცულობის, ასევე საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების თაობაზე;

ბ) განხორციელდეს სილაბუსის საკითხების რევიზია და ოპტიმიზაცია, ვინაიდან ისწავლება სხვადასხვა დასახელებით საგნები, სადაც საკითხები დუბლირებულია დიდი რაოდენობით. თავის მხრივ, ერთიდაიგივე საკითხის სხვადასხვა კონტექსტში განხილვა მისასალმებელია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს სილაბუსებში არ ჩანს;

გ) პროფესიის პრაქტიკულობიდან გამომდინარე, პრაქტიკული საკითხების დამატების ხარჯზე გაძლიერდეს სილაბუსებში პრაქტიკული საკითხების სწავლება, ასევე, დაემატოს პრაქტიკული სიტუაციები. საგნებში დიდი აქცენტი კეთდება თეორიულ და პროფესიასთან პირდაპირი კავშირის არმქონე საკითხებზე, მაგ. იაპონიის საგადასახადო სისტემა, ეროვნული ბანკის ფუნქციები, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა და მსგავსი. თავის მხრივ, ბაკალავრების ფართო განათლება მისასალმებელია, მაგრამ ეს თავისუფალი კრედიტების ხარჯზე უნდა მოხდეს;

დ) შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსების შინაარსი და დასახელება. გარკვეული საგნების დასახელება და მისი შინაარსი არარელევანტურია. მაგ. საგანში „უძრავი ქონების შეფასება და მართვა" შეფასების საკითხები ძალიან მწირად არის წარმოდგენილი.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-5 და მე-7 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019 წლის 18 ივნისის №775814 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

თავმჯდომარე

მდივანი

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 21 თებერვლის №01 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ დაამატა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

ა) გაძლიერდეს და ლოგიკურად დაეწყოს ძირითადი სპეციალობის კომპონენტები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ბ) გადამუშავდეს „სამშენებლო მარკეტინგი" კურსის სილაბუსები. სამშენებლო მარკეტინგის არცერთი სავალდებულო ლიტერატურა არ ფარავს კურსით განსაზღვრულ თემატიკას;

გ) შემცირდეს სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა რიგ სილაბუსებში, ან/და მიეთითოს კონკრეტული თემატიკის შესაბამისი ლიტერატურა;

დ) გადაიხედოს, განახლდეს სასწავლო კურსების ლიტერატურა და დაერთოს რელევანტური თანამედროვე ლიტერატურა;

ე) უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) დაემატოს სასწავლო პროგრამას კურსები მარკეტინგის მიმართულებით;

ზ) დაემატოს სილაბუსებში ისეთი საკითხები, როგორიცაა: WACC (კაპიტალის შეწონილი ღირებულება), პროექტის NPV (სუფთა დღევანდელი ღირებულება), IRR (უკუგების შიდა ნორმა) და მსგავსი;

თ) საინჟინრო კომუნიკაციების სწავლების დროს ყურადღება გამახვილდეს ყველა მიმართულებაზე, მაგ. ელექტროობა, სუსტი დენები და ა.შ.;

ი) სწავლებაში ყურადღება გამახვილდეს საკანონმდებლო რეგულაციებზე, მარეგულირებელთან, თელასთან და ა.შ. ურთიერთობაზე;

კ) ყურადღება გამახვილდეს ისეთ საგნებზე/საკითხებზე, როგორიცაა: ოპერაციათა მართვა, ქსელური გრაფიკების მომზადება და გამოყენება, მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა, ხარისხის მართვა, მარაგების მართვა, ბიუჯეტირება, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით Excel, ms project და ა.შ. ზოგიერთი საკითხი (მაგ. ხარისხის მართვა, ქსელური გრაფიკები და ა.შ.) კი განიხილება საგანში მშენებლობის ორგანიზაცია და დაგეგმვა, მაგრამ არა სათანადო მოცულობით;

ლ) გადაიხედოს თავისუფალი კომპონენტების არჩევითი საგნები და მოხდეს მათი ოპტიმიზაცია;

მ) მოდიფიცირდეს მენეჯმენტის მიმართულებით საგნები, შინაარსის მიმართულებით მახასიათებლები შესაცვლელია.

ნ) განხორციელდეს საათების დატვირთვის რევიზია საგნის (სილაბუსის) შინაარსიდან გამომდინარე კრედიტის მოცულობის, ასევე საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების თაობაზე;

ო) განხორციელდეს სილაბუსის საკითხების რევიზია და ოპტიმიზაცია, ვინაიდან ისწავლება სხვადასხვა დასახელებით საგნები, სადაც საკითხები დუბლირებულია დიდი რაოდენობით. თავის მხრივ,

თავმჯდომარე

მდივანი

ერთიდაიგივე საკითხის სხვადასხვა კონტექსტში განხილვა მისასალმებელია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ეს სილაბუსებში არ ჩანს;

პ) პროფესიის პრაქტიკულობიდან გამომდინარე, პრაქტიკული საკითხების დამატების ხარჯზე გაძლიერდეს სილაბუსებში პრაქტიკული საკითხების სწავლება, ასევე, დაემატოს პრაქტიკული სიტუაციები. საგნებში დიდი აქცენტი კეთდება თეორიულ და პროფესიასთან პირდაპირი კავშირის არმქონე საკითხებზე, მაგ. იაპონიის საგადასახადო სისტემა, ეროვნული ბანკის ფუნქციები, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა და მსგავსი. თავის მხრივ, ბაკალავრების ფართო განათლება მისასალმებელია, მაგრამ ეს თავისუფალი კრედიტების ხარჯზე უნდა მოხდეს;

ჟ) შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსების შინაარსი და დასახელება. გარკვეული საგნების დასახელება და მისი შინაარსი არარელევანტურია. მაგ. საგანში „უძრავი ქონების შეფასება და მართვა" შეფასების საკითხები ძალიან მწირად არის წარმოდგენილი.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 19 იანვარს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე — დიმიტრი გეგენავა

საბჭოს მდივანი — ნიკოლოზ კიკნაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მშენებლობის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 13 დეკემბერი, №281
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0203
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68, სასწავლო კორპუსი №1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 19 იანვარი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

თავმჯდომარე

მდივანი

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 19 იანვარი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი